1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია — ჩვენი ერის გაუნელებელი ტკივილი! უდანაშაულო მსხვერპლი! მსხვერპლი საკუთარ სახლში, საკუთარ მიწა-წყალზე, საკუთარი ინტერესებისა და თვითმყოფადობის დასაცავად გაღებული. მკვლელი კი ის აღმოჩნდა, ვინც სხვისი ხელუფფისაგან უნდა გიცავდეს... მას შემდეგ ერთი წელი გავიდა. ბევრი რამ შეიცვალა ამ ერთ წელიწადში. და, თუ რამეს მივაღწიეთ ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში, მივაღწიეთ შეკავშირებით, თანადგომით, მივაღწიეთ 9 აპრილის მსხვერპლთათვის მიცემული ფიცით. ამ ფიცს არასდროს უღალატებს ქართველი ერი.

სკ

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 აპრილი, კვირა, 1990წ.
№ 66 (10235) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ხუთი დღე, რომელმაც ქართველთა სულები შეაძრა“

ნაწყვეტები დღიურიდან

იმ დღეებში მეჩვენებოდა, რომ რუსთაველის პროსპექტზე მისვლა სულის დღესასწაულზე მისვლა იყო, სადაც ფიქრიც და ოცნებაც ხმამაღლა შეიძლებოდა.

შემდეგ კი... შემდეგ იყო 9 აპრილი და ცენტრალური რადიოს რიხიანი განცხადება: „მანიფესტანტებმა საკადრისი მიიღეს!“ იყო მტანჯველი მონანიება, რომ იმ წუთებში, როცა ტანკები დაიძრნენ ტაშით ახმაურებული დემონსტრანტების წინააღმდეგ, როცა სამხედრო ტექნიკის გრუხუნი ვერ ფარავდა ქალთა გულისშემზარავ სიმღერას და „მანიფესტანტები“ (16 წლის მოსწავლეები, 70 წლის ბებიები...) „საკადრისს იღებდნენ“, მე მათ შორის არ ვიყავი.

გლოვის დღეს, 11 აპრილს, სიონში სამარადისო განსასვენებელში გარდასულთა სულებზე ლოცვისას, ღმერთს ვევედრებოდი ეპატიებინა ხანმოკლე ძილი იმ სისხლიან დილას.

იხ. მე.2 გვ.

სსრ კავშირის სპორტული კლასიფიკაციისა და წოდებების ნაცვლად

საქართველოს ეროვნული სპორტული კლასიფიკაცია და წოდებები

დროშოვანულს და ზემოდან ადმინისტრაციული წესით გადმონერგილს, რომელიც მეტწილად შაბლონურია და, ცხადია, არ ითვალისწინებს ეროვნულ ინტერესებს, საქართველოს სპორტული ორგანიზაციები, ჩვენი სპორტსახკომის თაოსნობით თანდათან იშორებს თავიდან. ახლა ჯერ საქართველოს ეროვნული სპორტული კლასიფიკაციის შედგენაზე მიდგა.

საქართველოს სპორტსახკომში გაიმართა საგანგებო თათბირი, რომელზედაც დარგის სხვადასხვა რგოლის სპეციალისტები მოიწვიეს. შეკრებილთა გადაწყვეტილება ერთსულოვანი იყო — აუცილებელია წელსვე შემოვიღოთ საქართველოს ეროვნული სპორტული კლასიფიკაცია, საკავშირო სპორტული წოდებები შევცვალოთ ეროვნულით. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მხოლოდ კონკრეტულმა წინადადებებმა. უკვე პირველსავე სხდომაზე გამოიკვეთა რამდენიმე პოზიცია. გადაწყდა შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მთელ მუშაობას.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარემ ნ. ენდელაძემ.

ძვირფასო მკითხველო! ამ პატრიოტულ საქმეშიც თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს, მოგვაწოდეთ წინადადებები, გვირჩიეთ რა და როგორ. მაგალითისათვის ვიტყვი, რომ ზემოაღნიშნულ სხდომაზე გამოითქვა სურვილი სათანრიგო სპორტული მოთხოვნების მოხდენილ, ჩვენეულ სახელდებაზე. არის მოსაზრება, ვთქვათ, „სპორტის ოსტატი“ შეიცვალოს ეროვნული ლექსიკიდან აღებული. უკეთესი გამოთქმით, იქნებ შესატყვისი წოდება სპორტის ცალკეულ სახეობებშიც დავძებნოთ, მაგალითად, ფეხბურთელთათვის „ოსტატი მობურთალი“, ცხენოსნისთვის „ოსტატი მხედარი“ და ა. შ. იქნებ ბავშვთა და მოზარდთა სპორტში სათანრიგო კლასიფიკაცია სრულიად გამორჩეული ტერმინებით შევცვალოთ.

გთხოვთ მიაქციოთ უურადღება, საქმე მხოლოდ ნორმატივებს რომ ეხება. ამაზე სპეციალისტები მუშაობენ, თუმცა მკითხველთა შენიშვნებსაც დიდი სიამოვნებით მივიღებთ. მთავარი მაინც დასახელებებია. კერძოდ, გვინდა გვირჩიოთ რა ვუწოდოთ ჭაბუკთა თანრიგებს, მოზრდილთა III, II, I თანრიგს, სპორტის ოსტატის კანდიდატს, სპორტის ოსტატს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, სხვადასხვა კატეგორიის მსაჯს და ა. შ.

ველით თქვენს წინადადებებს რედაქციაში. კონვერტზე გააკეთეთ წარწერა: „ეროვნული სპორტული კლასიფიკაცია“.

„ცხუმის“ ფეხბურთელებს

თბილისის მრავალდარგოვან საწარმოთა გაერთიანების შრომითმა კოლექტივმა გადაწყვიტა ერთდროული დახმარება გაუწიოს „ცხუმის“ ფეხბურთელთა გუნდს და მის ანგარიშზე გადარიცხავს ხუთი ათას მანეთს.

თბილისში „იბერიასთან“ კალენდარული მატჩის დროს საწარმო ყველაზე საუკეთესო სოხუმელ ფეხბურთელს ჯილდოდ გადასცემს ათას ხუთას მანეთს.

შრომითი კოლექტივის სახელით, გაერთიანების დირექტორი ემზარ წივწივაძე.

„შევარდნის“ ანგარიშის ნომერია 000700803

თბილისი „შევარდენის“ საფეხბურთო კლუბის ამ ანგარიშის ნომერი გაიხსნა ბინსოცბანკის თბილისის საქარხნო რაიონის განყოფილებაში.

ცვლილება დებულებაში

საქართველოს X სპარტაკიადის პროგრამას დაემატა ცხენოსნობის ეროვნული სახეობები, რომელიც 8-13 მაისს ჩატარდება სენაკში რესპუბლიკის ჩემპიონატის პარალელურად. შეჯიბრება გაიმართება ისინდში, ცხენბურთში და მარულაში. ისინდსა და ცხენბურთში გუნდური პირველობა შეფასდება I-VI ადგილის ჩათვლით (ცხრილი № 2), მარულაში I-VIII ადგილების ჩათვლით (ცხრილი № 4). მარულაში მონაწილე ცხენები ცხენოსნურ თამაშებში არ დაიშვებიან.

ქართული რაგბი — პირველი „შორეული ნაოსნობა“

9 აპრილს ზიმბაბვეს გაფრინდება საქართველოს ეროვნული რაგბისტთა ნაკრები. აფრიკის სამხრეთ ნაწილში მდებარე ამ ქვეყანაში ჩვენი გუნდი თავის პირველ საზღვარგარეთულ ტურნეს გამართავს.

ამა წლის 19 თებერვალს თბილისის სარაგბო კლუბ „შევარდენში“ გამართულმა საქართველოს რაგბის კავშირის სხდომამ ცხარე კამათის შემდეგ დაადგინა, რომ უნდა დაწესდეს ეროვნული ნაკრების მუდმივი მწვრთნელის თანამდებობა. ეს მწვრთნელი იმავდროულად არ უნდა მუშაობდეს ნებისმიერ საკლუბო გუნდთან ან სხვა რაგბის კავშირის ნაკრებთან.

ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით ზიმბაბვური ტურნესათვის ეროვნული ნაკრების შედგენა, წვრთნა და ხელმძღვანელობა სხდომამ დაავალა რაგბის კავშირის მდივანს, სპორტსახკომის რაგბის თავარ მწვრთნელს დავით კილასონიას.

ახლახან ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა დაასახელა ზიმბაბვეს მიმავალი 21 მოთამაშის ვინაობა.

უკანა ხაზის მოთამაშეები: ნუგზარ ძაგნიძე (23 წლისა, „აია“), ვანო საცერაძე (31, „ელმავალი“), ალეკო ზვედელიძე (25, „ელმავალი“), ემზარ გეგუჩაძე (24, „აია“), ოლეგ ლიპარტელიანი (35, „აია“, კაპიტანი), მერაბ მარჯანიშვილი (22, „ელმავალი“ და სამხატვრო აკადემია), თენგიზ თავაძე (29, „ელმავალი“), დავით ჩავლეიშვილი (27, „ელმავალი“), მალხაზ ჭეიშვილი (31, რაგბის ასოციაცია), იგორ ქერაული (24, „ელმავალი“);

მორკინალები: ზაზა ბაკურაძე (30, „ელმავალი“), თენგიზ ტურძელაძე (30, „აია“), ბესარიონ ლილუაშვილი (36, „აია“), ალა გიუნაშვილი (22, „ელმავალი“), გია რაფავა (22, „ელმავალი“), თამაზ ხუადე (25, „ელმავალი“), ბადრი შვანგირაძე (28, „აია“), რეზო ჯაფარაშვილი (23, „ელმავალი“), თამაზ ფხაკაძე (24, „აია“), გია გიუნაშვილი (25, „ელმავალი“), ალექსანდრე ნაჭყებია (37, „აია“).

ტურნეს განრიგი:

11.04. ჰარარე. მაშონალენდის პროვინცია — საქართველო

14.04. ბულავაიო. ზიმბაბვე — საქართველო (პირველი ტესტი)

18.04. გვერუ. შიგა ზიმბაბვე — საქართველო

21.04. ჰარარე. ზიმბაბვე — საქართველო (მეორე ტესტი).

• • •

გუნდს სპონსორობას უწევს სააგრომრეწვი — რაგბის ფედერაციის ყოფილი თავმჯდომარე კიტა შავიშვილი. გუშინ მორაგბეები შეხვდნენ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ხელმძღვანელებს, რომლებიც მორაგბეთა თხოვნით, დათანხმდნენ სპონსორობა გაუწიონ საქართველოს რაგბის კავშირს.

• • •

ბოლო დღეებში ზიმბაბვეში საქართველოს სპორტის ხელმძღვანელთა გამგზავრების აუცილებლობაც დადგა დღის წესრიგში. ქართული რაგბის საერთაშორისო აღიარებისათვის საჭიროა ოფიციალური პირთა ორმხრივი მოლაპარაკება. ამასთან დაკავშირებით ზიმბაბვეში მიემგზავრება საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარე ნუგზარ ენდელაძე და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი თენგიზ გაჩეჩილაძე. ისინი შეხვდებიან რაგბის საერთაშორისო საბჭოს ხელმძღვანელებს, რომლებიც ასევე საგანგებოდ ჩავლენ ზიმბაბვეში.

„ხუთი დღე, რომელმაც ქართველთა სულები შეძრა“

(დასასრული)

ტანკები რუსთაველის პროსპექტზე ჯერ კიდევ რვა აპრილს გამოჩნდა, მაგრამ დილას დაგეგმილი გასეირნება-მათ შეაწყვეტინეს: სასტუმრო „ივერიის“ წინ ორი ახალგაზრდა ტანკების წინ დაწვა (საშხედრო მანქანები მწკრივად მიემართებოდნენ), მათ გვერდით ოთხი შაოსანი ქალი დადგა მუხლებზე, შემდეგ — კიდევ ათი მამაკაცი (მათ შორის ჩემი მეგობრის მეუღლე ავთო), მთავრობის სასახლისაკენ მიმავალი გზა გადაკეტილი იყო. ტანკისტებმა ერთხანს იფიქრეს, თან „ვალით ზვერავდნენ იმ „უგუნურებს“, „ყალბად სახიფათო მოძრაობაც სცადეს, მაგრამ მუხლმოყრილთა რიცხვი იზრდებოდა და იზრდებოდა (ავთოს სიტყვებით 500-მდე იქნებოდა).

საღამოს ეს ამბავი მთელმა ქალაქმა იცოდა. „სად უნდა გავიქცეთ, თუ ტანკები წამოვიდნენ?“ — იკითხა ჩემმა მეგობარმა. წინ მდგომი ახალგაზრდა მობრუნდა და უთხრა: „ქალბატონო, ჩვენ აქ გასაქცევად არ ვდგავართ“. „და მე შემრცხვა“ — მიამბობდა ჩემი მეგობარი. სირცხვილი... ოღონდ არაავინ თქვას, რომ ეს სისულელეა. რა უნდა გააკეთო, როდესაც გული გასკდომას ლამობს უილაჯობისაგან და სხვა გამოსავალს ვერ ხედავ.

ჩვენ დამნაშავენი ვართ? შეიძლება ასეც არის. „დამნაშავენი“ ვართ, რომ ფიქრებში თუ ტრიბუნიდან ვამბობდით: გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს! „დამნაშავენი“ ვართ, რომ იმედი მოგვეცა, ერთი ნაბიჯი მაინც გადაგვედგა ამ სანუკვარი მიზნისაკენ.

თავისუფალი საქართველო — ეს, როდესაც საკუთარ მიწაზე თავს დაუპატიჟებელ სტუმრად არ იგრძნობ და მშობლიურ ენაზე ლაპარაკი არ გაგიკვირდება. თავისუფალი საქართველო — ეს, როდესაც უფლება გაქვს უპასუხო ყველა უსაფუძვლო, დამამცირებელ შეურაცხყოფას. ყველა ის, ვინც ცენტრალურ პრესას თუ ტელევიზიას ინტერვიუს აძლევდა, შემდეგ უარყოფდა, მე ასე არ მითქვამსო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხალხი ჟურნალისტებს გაურბოდა, და საკვირველი იყო სად პოულობდნენ ისინი თანამოსაუბრეებს. მრავალი ჟურნალისტის მიერ არჩეული ნახევარსიმართლე ძალიან ჰგავდა აბსოლუტურ სიცრუეს. თვით ჩვენს „ავღანელთა“ გულისამაჩუყებელ აქციას სამხედროთა თვითნებობისაგან მოსახლეობის დასაცავად (საკომენდატო საათის დროს), „ვრემია“ წარმოადგენდა, როგორც მოქმედებას... სამხედროთა დასახმარებლად. ერთი სიტყვით, ჟურნალისტები ავლენდნენ მონტაჟისა და თავხედური სიცრუის მაღალ ოსტატობას.

თავისუფალი საქართველო — ეს, როდესაც შეგიძლია „ეკამათო“ ცრუმეცნიერთა მთელ ტომებს, რომელთა აზრებმა ასე გაიდგა ფესვები.

თავისუფალი საქართველო — ეს, როდესაც ნებისმიერი აქაური ივანოვისაგან მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენის ცოდნას და საქართველოს სიყვარულს მოითხოვენ. ასე უპასუხეს მიტინგის ლიდერებმა კითხვაზე: „მე ივანოვი ვარ, რა ბედი მელის?“.

დიახ, ჩვენ „დამნაშავენი“ ვართ. და რაღაც გვიწურავს გულს...

„დაზარალდნენ ყველაზე უდანაშაულონი, სწორედ მათ ვერ უშველეს თავს, ამიტომ მრცხვენია სიცოცხლე“. ეს სიტყვები მე არ მეკუთვნის, ჯანსუღ ჩარკვიანის სიტყვებია... მაგრამ ამის თქმა მეც შემიძლია.

ვიღაც ძალზე ეცადა, რომ ყველა ლოზუნგისთვის, ყოველი თავისუფალი სიტყვისათვის მწარე საზღაურით გვეზღო. უდანაშაულოთა სისხლით, მოცეკვავე და მომღერალი ხალხის სისხლით.

ვიღაცამ გადააჭარბა — გაღიზიანებულ ერთუჯრედიანთა მხეცური ინსტინქტები და კოლონიალური გენები.

და 16 წლის მოსწავლე თავისი სიცოცხლით პასუხობდა სისხლიანი ექს-ბელადის მაგიერ, რომელმაც საქართველოს მიწები გაიჩუქა და ხელოვნურად შექმნა ფეთქებადსაშიში კერები ეროვნებათაშორის ურთიერთობებში, რომელიც დღემდე ანთია.

კოლონიალური გენები...

ერთხელ ჩემი შვილი და რუსი ბიჭი კამათობდნენ, სად ჯობია ცხოვრება, რუსეთში თუ საქართველოში. ისინი რიგრიგობით იშველიებდნენ თავ-თავიანთ არგუმენტებს. გიგა უფრო აქტიური იყო. და აბ, მან ქართული მრავალხმიანობა მოიშველია და სიტყვა მეტოქეს გადასცა. ანდრეი წამით ჩაფიქრდა და მერე შვებით წარმოთქვა: „ჩვენთან კი, ყაზახეთში, ბამბა მოდის“.

ეტყობა, ეს არის კოლონიალური გენი.

1989 წლის 12 მარტს ლატვიის სახალხო ფრონტის მანიფესტაციაზე 250 ათასი კაცი შეიკრიბა. მათ სიტყვით მიმართა ვიტალი კოროტიჩმა: „ვინც ახლა ცდილობს პირი აგიკრათ, ცდილობს გამოვიდეს დემოკრატიულ ცვლილებათა წინააღმდეგ. ისინი იმ შემთხვევაში გაიმარჯვებენ, როცა ჩვენ დიდი შიში გვექნება და ცოტა თავისუფლება. გთხოვთ, ვინც აქ დგახართ, თავი შეინარჩუნოთ! პროფოკატორებს საშუალება არ მისცეთ ახალი პროვოკაციებისა. არ მოაკვლევინოთ არც ერთი ადამიანი, არც ერთი სიტყვა“.

ერთი ადამიანიც არ მოაკვლევინოთ... ჩვენ ეს ვერ შევძელით.

იმ სისხლიან კვირა დღეს ცენტრალური რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში 20 წლის ინგილო გოგონა მოიყვანეს. ის მოშიმშილეთა შორის ყოფილა, რომელთა თავისი სხეულით დაფარვას ცდილობდნენ განიარაღებული მილიციელები (ოფიციალურ ცნობებში დაჭრილი მილიციელები სპეცნაწილების იმ მხეც მკვლელებს მიათვალეს). შიმშილობის მეხუთე დღე სრულდებოდა. სასწრაფო ზომების მიღება იყო საჭირო და მედდა მთელი ღამე არ მოცილებია გოგონას საწოლს, მუხლებზე დაჩოქილი ევედრებოდა ნება მიეცა ეხსნა მისი სიცოცხლე. გოგონა ნემსის გაკეთებას არ თანხმდებოდა და შიმშილს განაგრძობდა. მისი პასუხი უბრალო იყო: ჩემს თვალწინ დაიღუპნენ მეგობრები და მეც აღარ მინდა სიცოცხლეო.

5 დღე, რომელმაც შეძრა საქართველო, ოღონდ არა მთელი მსოფლიო. სწორედ ითქვა: „ჩვენ ობოლი ერი ვართ. და თავს ნუ მოვიტყუებთ: არც ქალბატონი ტეტჩერი და არც ბატონი ბუში ჩვენს გამო თავს არ მოიკლავენ, არ აღშფოთდებიან თავისუფლებაზე მეოცნებე ქალებთან და ბავშვებთან მხეცური ანგარიშსწორების გამო“.

5 დღე, რომელმაც ქართველთა სულები შეძრა, ამ დღეებში პატარები უფროსებად იქცნენ, მათ უკვე ვეღარაფრით შეაშინებდი. „ქალბატონო, ჩვენ აქ იმისათვის კი არ ვართ, რომ გავიქცეთ, არამედ, იმისათვის, რომ მათ დავხვდეთ“. და ისინიც დახვდნენ. უაზრო თავგანწირვა? „დაწყევლილი იყოს ის, ვინც იმ დღეს დაღვრილ სისხლს უაზროს უწოდებს“, — თვლიან ერთნი. „ძალიან დიდი საზღაურია თავისუფლების ერთი წამისთვის და გაღვიძების სიხარულისთვის“. — თვლიან სხვები. იქნებ სხვა შეფასება არც არსებობს?

„ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავის შვილსა, მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ ყვარებია“, — ერთადერთი ნუგეში უნუგეშო დედებისათვის. დედებისთვის ძნელია ამაზე დათანხმება, ამიტომ გთხოვთ: თავი შეინარჩუნოთ! არ მოაკვლევინოთ არც ერთი ადამიანი, არც ერთი სიტყვა.

ნანა ალექსანდრია.

12-15 აპრილი, 1989 წელი.

ერთვენელი ბიბლიოთეკ

გუშინ, [illegible] ბიბლიოთეკაში, საქართველოს [illegible] ვან [illegible] ჯავახიშვილის სახელობის [illegible] ინფორმაციის საუდიო-ვიზუალური ინფორმაციის საერთაშორისო ლაბორატორიისა და საქართველოს სახალხო მეურნეობის გამოფენის დირექციის ინიციატივით გაიხსნა 8 აპრილისადმი მიძღვნილი ფოტო-გამოფენა. ალექსანდრე კოტორაშვილის ეს ფოტოც გუშინ საგამოფენო დარბაზში გადალებული.

იყო სანთელი ანთებული და ბევრი მიხაკი, ტიტა თუ ია...

25 წელს ითვლის საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმი, რომელსაც თბილისის სპორტის სასახლეში უდევს უკანასკნელ წლებში არც თუ ისე „მხრებგაშლილი“ ბინა. უკვე მეოთხედ იკრიბებიან მის ნაცნობ კედლებში სპორტსმენები, მწვრთნელები, ფიზიკური კულტურის მუშაკები, სპორტის გულშემატკივრები — იკრიბებიან, რათა პატივი მიაგონ ამ ქვეყნიდან წასულ ათლეტებს.

თავდახრილნი იდგნენ ნაცნობ, ერთთავად გაყვითლებულ ფოტოსურათებთან სპორტის ვეტერანები გიორგი ბაბილოძე, შალვა ჩიხლაძე, ქრისტეფორე და აკაკი ნინიაშვილები, ლევან ფალავანდიშვილი, ოთარ დიდებულიძე, შოთა ახვლედიანი, ვანო ბოჭორიძე, ოტია ჟორდანია, რევაზ თავარიანი, მიხეილ ბასიაშვილი...

აქვე იყვნენ სიცოცხლეს უდროოდ გამოსალმებული სახელმოხვეჭილი ქართველი სპორტსმენების— ავთანდილ ქორიძის, სერგო შალიბაშვილის, შოთა იამანიძის ახლობლები, სერგო შუდრას მეუღლე, გიორგი ეგნატაშვილის ვაჟი... სანთლით იდგა შვილის პორტრეტთან შალიბაშვილის დედა — ქალბატონი ტაისია, კუთხეში უხმოდ ქვითინებდა იამანიძის მეუღლე — ერთგული თოჯი.

პატარა შოთა იამანიძე, დიდი პაპის 4 წლის შვილიშვილი, შეშინებული შესცქეროდა ბებიას ნამტირალებ სახეს. ერთი ჯგუფი ახალ ფოტოსურათთან შეგროვილიყო, ლურჯი იები დაეწყოთ სურათთან. ნოდარ ჯანგირაშვილი, სპორტის შეუდარებელი ტრფიალი, ენერგიული ფიზკულტურული მუშაკი, გოლიათი კაცი, მაინც ვერაფერი რომ ვერ გააწყო შარშან, 9 აპრილს მტრის ხელით ვერაგად აღმართული სისხლიანი ნიჩბის წინააღმდეგ.

— შარშანწინ ასეთსავე დღეს ნოდარი აქვე იყო ჩვენთან, ყვავილები მოიტანა, მგონი ბასას სურათთან დააწყო, დღეს კი... მას მოუტანეს იები — წაგვიჩურჩულა მუზეუმის თანამშრომელმა.

...მშვიდი, **სევდიანი მუსიკა** ისმოდა დარბაზში, წუთიერი დუმილით გაირინდნენ შეკრებილნი.

დუმილი ისევ სპორტის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ ოთარ დიდებულიძემ დაარღვია, გაიხსენა სპორტული სარბიელიდან წასული თანამებრძოლნი. პროფესორმა ავთანდილ ციბაძემ ანუგეშა მათი ახლობლები, აქვე იყვნენ სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე რევაზ აიწურაძე, სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თავმჯდომარე ვაჟა შუბლაძე.

...დარბაზში გაისმა ალექსანდრა ჯაფარიძის, ნინო დუმბაძის, არსენ მეკოკიშვილის, სერგო შალიბაშვილის, შოთა იამანიძის ხმა. ტელეეკრანზე ვიდეოფირი ჩაერთო: კუნთმაგარი ქართველი ფალავნები ავთანდილ ქორიძე და ვლადიმერ რუბაშვილი ბეჭებზე დებდნენ მრისხანე მეტოქეებს, ციცაბო მთებს უტევდა „კლდის ვეფხვი“ მიხეილ ხერგიანი, აშამათებდა განცვიფრებულ მეტოქეს დიდებული ვიქტორ გოგლიძე, თბილისელ ფეხბურთელთა ოქროს კაპიტანს შოთა იამანიძეს შორეულ ტაშკენტში მოსკოველთა კარის დასალაშქრავად მიჰყავდა თანაგუნდელები, დაუვიწყარი ეროსი მანჯგალაძე გახარებული ეხვეოდა კოლეგას...

სერგო შალიბაშვილის დედა შვილის ფოტოსთან.

შვილი და შვილიშვილი (შოთა) შოთა იამანიძის სურათთან.

რაღაც სევდიანს, იმ წუთების სწორად რომ შესაფერისს, ასრულებდა მომღერალი ვახტანგ მაკალათია, მერე ინგა ბერაძემ თავის ვაჟიშვილთან გიგისთან ერთად იმღერა ოპტიმისტური „ღმერთო, გაზარდე ქართველი“.

ღმერთო, მართლაც გაზარდე ქართველი!

იმ დღეს მუზეუმის თანამშრომლებს ლილი ლომსაძეს და აზა მოგელაძეს სანთლები დაენთოთ საგანგებოდ. დიმიტრიმ ვანო სვანიძემ დიმის მადლიანი მიწაც მოიტანა აქ — ეგებ ყვავილებმა იზარონო. ყვავილები კი ბევრი იყო... მიხაკი, მიმოზა, ია, ვიღაცას დიდი გვირგვინიც შეეკვეთა.

გარეთ ყვაოდა ნუში. აპრილი— ყვავილობის, გაზაფხულისა და სიყვარულის თვე იდგა...

ოთარ ოთარაშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

მოკლედ

მოსწავლეთა მარტის არდადეგების დღეები თბილისის გლდანის რაიონის № 1 საბინაო-საექსპლოატაციო უბნის ფიზკულტურელებმა სპორტული ღონისძიებებისთვის გამოიყენეს. საცხოვრებელი ადგილების მიხედვით გაიმართა შეჯიბრებები მინი-ფეხბურთში, ჰადრაკში, ქართულ ჰიდაობაში, ძიუდოში, შაშში, სროლაში.

საბინაო კანტორის ხელმძღვანელობამ ყველაფერი იღონა ღონისძიებების მაღალ დონეზე გასამართად და ბავშვებიც ფრიად კმაყოფილნი დარჩნენ.

ვ. ლობჟანიძე,
გლდანის რაიონის № 12 საბინაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსი.

სპორტის 10 სახეობაში მიმდინარეობს თბილისის ტრადიციული სპარტაკიადა, რომელიც ოქტომბრამდე გასტანს.

უკვე დამთავრდა ასპარეზობები კრივში, აკრობატიკასა და კალათბურთელ ქალთა შორის. გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ საბურთალოს რაიონის სპორტსმენები. ისინი უძლიერესნი იყვნენ კრივსა და კალათბურთში. აკრობატთა ტურნირში კი ყველას აჯობა ვაკის გუნდმა.

„უნივერსიადა-90“

(ჩატარების კალენდარი)

სპორტის სახეობა	ჩატარების ადგილი	ჩატარების დრო
1. ბადმინტონი	თელავი	16-20 აპრილი
2. ჰადრაკი	თბილისი	16-22 აპრილი
3. მ/ჩოგბურთი	ბათუმი	25-29 აპრილი
4. კალათბურთი (ქ)	თბილისი	25-30 აპრილი
5. ცურვა	ქუთაისი	26-29 აპრილი
6. წყალში ხტომა	თბილისი	27-30 აპრილი
7. მშვილდოსნობა	ბათუმი	28 აპრილი 2 მაისი
8. წყალბურთი	ქუთაისი	3-6 მაისი
9. კალათბურთი (ვ)	თბილისი	3-9 მაისი
10. ფრენბურთი (ქ)	თბილისი	9-13 მაისი
11. სპორტული ტანვარჯიში	თბილისი	28-30 აპრილი
12. ძიუდო (ქ.)	გორი	10-13 მაისი
13. ძიუდო (ვ)	გორი	10-13 მაისი
14. შაში	თბილისი	10-16 მაისი
15. კლასიკური ჰიდაობა	თბილისი	12-14 მაისი
16 ფეხბურთი	სამტრედია	11-17 მაისი
17. სამბო	გორი	3-6 მაისი
18. თ/ჰიდაობა	თბილისი	14-16 მაისი
19. ხელბურთი (ქ.)	თელავი	14-20 მაისი
20. ფრენბურთი (ვ)	თბილისი	14-19 მაისი
21. ველო-ტრეკი	თბილისი	15-17 მაისი
22. ჩოგბურთი	ბათუმი	15-20 მაისი
23. კრივი	თბილისი	16-20 მაისი
24. ხელბურთი (ვ.)	თელავი	21-27 მაისი
25. ფარიკაობა	თბილისი	25-29 მაისი
26. ქართული ჰიდაობა	თელავი	27-29 მაისი
27. მძლეოსნობა	თბილისი	29-31 მაისი
28 მხ. ტანვარჯიში	თბილისი	30-31 მაისი
29. ველო-საგზატკ.	თბილისი	25-28 ივნისი
30. ძალოსნობა	თბილისი	26-28 ივნისი

ერთიანი ნაკრები?

„იბერია“ (თბილისი) — ოფკ „ჰოლსუნდი“ (შვეიცია) 7:1 (3:0).

თბილისი. ცენტრალური სტადიონი. 6 აპრილი.

„იბერია“: ხაპოვი (დევაძე), ჩიქოვანი, ცხადაძე, ჭედია (მაკაბარიანი), ჯიშკარიანი (არზიანი), რევიშვილი, ქეცბაია (კაჭარავა, გოგიჩაშვილი), ჯამარიული, ცაავა, გურული (კერძევაძე), ნემსაძე.

„ჰოლსუნდი“: ერიქსონი (ლიდენი), ბიოლინი, სტაააფი, ეხქელინენი, სვანაძე (რიტფიალი), ენქსტრიომი, ჰიოლსტადიუსი, კარსტრიომი, კარლსონი (ტიორნსტრიომი), ვონკავაარა (ბედბერგი), იოჰანსენი.

მსაჯი მ. კობიაშვილი.

თბილისელი გულშემატკივრები, ალბათ, ვერც კი გაიხსენებენ, ბოლოს როდის დაიწერა ცენტრალური სტადიონის საინფორმაციო ტაბლოზე ამდენი გოლის ავტორის გვარი. თუმცა, ალბათ, ვერც იმას გაიხსენებენ, ბოლოს როდის ჰყავდა „იბერიას“ ასეთი სუსტი მეტოქე. მაგრამ, გუშინწინდელ მატჩში მონაწილე გუნდებისთვის მთავარი შედეგი არ ყოფილა. ორივე მხარისთვის ეს იყო ერთგვარი საწვრთნელი თამაში და განაცხადში შეტანილმა ყველა ფეხბურთელმაც მიიღო თამაშში მონაწილეობა. ასეთი ერთობლივი წვრთნა „იბერიასა“ და ოფკ „ჰოლსუნდს“ შორის შარშან დადებული კონტრაქტითაა გათვალისწინებული. თუ გახსოვთ, 1989 წელს თბილისელები იყვნენ შვეიცარიაში, წლეულს კი თავად უმასპინძლეს თავიანთ კომპანიონებს. გულშემატკივრებს ალბათ ისიც ახსოვთ, რომ ამ კლუბში გამოდიოდნენ თენგიზ სულაქველიძე და რამაზ შენგელია. ამჟამად აქ თამაშობენ ზაურ სვანაძე და მერაბ მეგრელაძე. ზემოთ ნახსენები კონტრაქტი კიდევ ბევრ პუნქტს ითვალისწინებს, მაგრამ ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანდა, მთავარი კი ის არის, რომ თბილისის „იბერიას“ ევროპაში ჰყავს პარტნიორი და გულშემატკივარი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მხარში ამოუდგება ქართველ ფეხბურთელებს.

რაც შეეხება თვით თამაშს, იგი თბილისელთა უდავო და სრული უპირატესობით წარიმართა, რაზეც თვალნათლივ მეტყველებს ანგარიში. უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ შვედი ფეხბურთელები მხოლოდ თამაშის ბოლო წუთებში გაერკვნენ სიტუაციაში. ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევის დროს თბილისელთა საჯარიმოში უხეშად ეთამაშნენ ენქსტრიომს და 11-მეტრიანი მიზანში მოახვედრა კარლსონმა. ფაქტიურად ეს იყო „ჰოლსუნდის“ ერთადერთი შანსი, თბილისელთაგან კი ბურთები გაიტანეს რევიშვილმა (2), კერძევაძემ (2), ცაავამ, კაჭარავამ და გოგიჩაიშვილმა. ამ უკანასკნელს კიდევ ჰქონდა კარის აღების შესაძლებლობა, მაგრამ 72-ე წუთზე შვედების მეკარემ კუთხურზე მოიგერია მისი 11-მეტრიანი.

დაბოლოს, საიმისოდ, რომ საქართველოში გაემართა ამხანაგური შეხვედრები, ოფკ „ჰოლსუნდმა“ უფლება შვეიცის ფეხბურთის ფედერაციისგან მიიღო. შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში შვედებმა ლანჩხუთში „გურიჩსთან“ წააგეს — 0:1.

ბიორგი ქორქია.

სურათზე: ქართველ და შვედ ფეხბურთელთა გუნდების მატჩის ერთი ეპიზოდი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



მეჯვარეობა ოსტატობა

როგორც მკითხველებმა იციან, წლის დასაწყისში პიატიგორსკში ჩატარდა 1976-1977 წლებში დაბადებულ ჭაბუკ კალათბურთელთა საკავშირო პირველობის ზონალური ტურნირი, რომელშიც ჩვენმა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა და ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ოქროს ქულით. ფინალში გავიდა რუსეთის ფედერაციის ნაკრებიც, რომელიც მაშინ საქართველოს კალათბურთელებთან დამარცხდა — 59:64.

გათამაშების დასკვნით ეტაპს უკრაინის ქალაქი ვოროშილოვგრადი მასპინძლობდა. აქ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის კოლექტივებთან ერთად (გამოდიოდნენ სხვა ზონებში გამარჯვებული უკრაინის, ლატვიის და მოლდავეთის გუნდები.

ჩვენი რესპუბლიკის ნორჩმა კალათბურთელებმა მზარდი ოსტატობა აჩვენეს, რაც სხვათა შორის, ადგილზევე აღინიშნა ტურნირის დამთავრების შემდეგ. მათ ფინალურ სტადიაში დაამარცხეს ლატვიის (78:63) და მოლდავეთის (72:50) თანატოლები, გადამწყვეტი ბრძოლა კი ტურნირის მასპინძლებთან ჰქონდათ, რომლებსაც გულმხურვალედ უჭერდნენ მხარს ტრიბუნები და რომლებიც, რა დასამალია და, მსჯავთა გარკვეული სიმპათიებითაც სარგებლობდნენ. ბრძოლა უკრაინის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა — 74:60. მან მოიპოვა პირველი ადგილი. საქართველოს გუნდი მეორე ადგილზე გავიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ნაკრების ძირითად ბირთვს წარმოადგენდა „მართვეს“ (სკოლის დირექტორი მერაბ კეკელიძე, მწვრთნელები — ზურაბ სამხარაძე და ნიაზ დანელია) აღსაზრდელები. ორი კალათბურთელი — დევი დევიძე და ვლადიმერ სტეფანია — „ნორჩი დინამოელიდან“ იყო (მწვრთნელი ლევან ინწკირველი), ხოლო ერთი — ირაკლი ხოშტარია — სამტრედიიდან (მწვრთნელი თამაზ ხაფავა).

ზემოთ გაკვრით ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ, რომ საქართველოს გუნდის თამაშმა კალათბურთის სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სწორედ ამიტომ ეს კოლექტივი საასპარეზოდ მიიწვიეს ტალინში, სადაც ჭაბუკთა დიდი საერთაშორისო ტურნირი უნდა გაიმართოს ბალტიისპირეთის, მოლდავეთის, ფინეთის, პოლონეთისა და სხვა კოლექტივების მონაწილეობით.

სურათზე: საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა გუნდი. პირველ რიგში, მარცხნიდან — დავით მაისურაძე, დევი დევიძე, ირაკლი ახალაძე, ირაკლი ხოშტარია და კახა გიგაშვილი. დგანან — გიორგი ტეფნაძე, გელა შამალაძე, დავით ბერძენიშვილი, სერგი ულენტი, ვლადიმერ სტეფანია, ზაზა ენდელაძე და მწვრთნელი ზურაბ სამხარაძე.



მაისისათვის მწყობრში ჩადგება

განთქმული ფეხბურთელი, ინგლისის ნაკრების კაპიტანი ბრაიან რობსონი, რომლის თამაშზეც დიდად არის დამოკიდებული გუნდის წარმატება, ფიქრობს, რომ თებერვალში გადატანილი ოპერაციის შემდეგ აპრილის მიწურულის ან მაისის დამდეგისთვის მწყობრში უნდა ჩადგეს.

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ბობი რობსონი თავის მოგვარეზე დიდ იმედებს ამყარებს.

რატომ გადადგა ხელმძღვანელობა?

როცა ამ დღეებში გადადგა მწვრთნელი მარვინ როდრიგესი და

კოსტა-რიკის ნაკრების მთელი ხელმძღვანელობა, „ჟურნალისტებმა ეს ახსნეს ამ გუნდის დამარცხებით (0:3) მექსიკის პირველი ლიგის რიგით კოლექტივ „ჩივუსთან“. სხვა მიმომხილველები ხელმძღვანელობის გადადგომას საბჭოთა ნაკრებთან დამარცხებით (0:2) ხსნიან.

ნაკრების მწვრთელად დაინიშნა ცნობილი იუგოსლავიელი სპეციალისტი ველიბორ (ბორა) მილუტინოვიჩი.

ნაგატიური რეკორდი

როგორც ინგლისური პრესა იუწყება, ქვეყნის ჩემპიონატის მატჩმა „უიმბლდონსა“ და „ლუტონ თაუნს“ შორის ყურადღება მიიპყრო იმით, რომ აქ დამყარდა... ნეგატიური რეკორდი! ომის შემდეგ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ინგლისის ჩემპიონატის მატჩს დასწრებოდეს ასე ცოტა მაყურებელი — 3496.

„ეკიპი“ ძალადობის წინააღმდეგ

პარიზის ცნობილმა სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა“ დაიწყო კამპანია ფეხბურთის მინდვრებზე ძალადობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. 14 თებერვლიდან მოყოლებული გაზეთი გამოსცემს სპეციალურ დამატებას „ეკიპი“ ძალმომრეობის წინააღმდეგ“, რომელიც უფასოდ ვრცელდება. წამოყენებულია კონკრეტული წინადადებებიც უხეშობის წინააღმდეგ: წითელი ბარათი, თუკი ფეხბურთელი უტაქტოდ მოექცევა მსაჯს და მკაცრი ზომები სიმუალაციის შემთხვევაში.

გუშინ დასრულდა მინიფეხბურთში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თითქმის 6-თვიანი მარათონი, რომელმაც გამოავლინა პირველი ჩემპიონი — კავშირგაბმულობის ფაკულტეტის გუნდი (დეკანი თ. კუპატაძე), მეორე ადგილი დაიკავა მეტალურგიულმა ფაკულტეტმა (დეკანი მ. მინდელი). ფინალში ამ ორი გუნდის შეხვედრის ანგარიშია 2:1. მესამე ადგილი დაიკავეს სატრანსპორტო ფაკულტეტის წარმომადგენლებმა, რომლებმაც შვიდმეტრიანების სერიაში აჯობეს სანტექნიკისა და ჰიდროტექნიკის ფაკულტეტის ნაკრებს — 7:6 (ძირითადი დრო 3:3).

სურათებზე: შეხვედრის მომენტი; გამარჯვებული გუნდი; უნივერსიტეტის რექტორი გ. ჩოგოვაძე თასს გადასცემს გამარჯვებული გუნდის კაპიტანს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

თბილისელი ფეხბურთელი ისრაელში თამაშობს

ყოფილი თბილისელი ფეხბურთელი გურამ აჯოევი, რომელიც მოსკოვის „დინამოსა“ და „სპარტაკში“, მერე კი ხარკოვის „მეტალისტში“ თამაშობდა, ახლა ისრაელის პირველობაზე გამოდის. იგი იერუსალიმის კლუბ „ვეიცთარის“ წევრი გახდა.

„ქვეყანაზერი შეიძლება მოხდეს“

მოვუსმინოთ გუნარ ნორდალს — „მეკარეთა რისხვას“

გულშემატკივართა ახლანდელ თაობას ცოტა რამ სმენია გუნარ ნორდალზე. მას უფრო მეტად ძველი ჟურნალისტები და ფეხბურთის ისტორიკოსები თუ ახსენებენ. თუმცა, ნორდალი 70 წელს მიღწეულია, იგი ჯან-ღონით აღსავსეა და, ცხადია, ფეხბურთს არ ივიწყებს. 40-50-იანი წლების მიჯნაზე იგი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი იყო, შვეიცის ნაკრებში 33-ჯერ ითამაშა და 42 გოლი გაიტანა, რისთვისაც „მეკარეთა რისხვას“ ეძახდნენ. ზედიზედ ოთხჯერ (1945-48 წლებში) შვეიცის ჩემპიონატის №1 სნაიპერი გახდა, შემდეგ იტალიის „მილანში“ გადავიდა და ხუთი სეზონის მანძილზე ამ ქვეყნის ბომბარდირებს ედგა სათავეში. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ევროპულ გუნდებს არასოდეს ჰყოლია ისეთი მძლავრი ტრიო, როგორიც მაშინ „მილანში“ შვედებმა ვრენმა, ნორდალმა და ლიდჰოლმმა შეადგინეს. ეს იყო „გრე-ნო-ლი“, რომელმაც დიდი სახელი შესძინა შვეიცის ფეხბურთს. რაც შეეხება ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს, აქ ერთხანს სამი ძმა თამაშობდა—კნუტ, ბერტჰედ და გუნარ ნორდალები. ეს უიშვიათესი შემთხვევაა.

● სამივე ძმა ფეხბურთელები იყავით, თქვენი შვილი თომასიც...

— ახლა ერთი ძმა დამრჩა, ბერტჰედი. კნუტი გარდაიცვალა. რაც შეეხება შვილს თომასს, რომელიც შვეიცის ნაკრებშიც გამოდიოდა და ბრიუსელის „ანდერლეხტშიც“, იგი მწვრთნელია, ჯერ ნორვეგიაში მუშაობდა, ახლა — შვეიცარიაში.

● თქვენ პირველი სკანდინავიელი ფეხბურთელი იყავით, ხამხრეთი ევროპის ქვეყნებს რომ მიაფურეთ...

— დიახ, პირველი შვედი პროფესიონალი, ასეთი შორეული მოგზაურობა რომ წამოვიწყე. დამიჯერეთ, ფული, გასამრჯელო აქ არაფერ შუაში იყო, უბრალოდ თავგადასავლების, ფათერაკების სურვილმა გადამადგმევინა ეს ნაბიჯი, თან მინდოდა იტალიელებისთვისაც დამემტკიცებინა, თუ რას წარმოვადგენდი.

● თუ შეიძლება შეადარეთ თქვენი დროისა და ახლანდელი ფეხბურთი.

— რა თქმა უნდა, ფეხბურთი ვითარდება, ახალ თვისებებს იძენს, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, თამაში სულ უფრო კარგავს სილამაზეს, ნაკლები გოლი გადის, კართან იმდენი მოთამაშე იყრის თავს... ვარსკვლავებსაც სულ უფრო იშვიათად ვხვდებით დღეს. დიდი ამბავია, 8-10 გვარს თუ ჩამოვთვლით.

● დღევანდელი ფეხბურთელებიდან ვინ მოგწონთ?

— ერთს გამოვარჩევდი, რომელსაც მეტისმეტად ვაფასებ — ვან ბასტენს. ჰოლანდიური ტრიო „მილანში“: გულიტი — ვან ბასტენი — რაიკარდი ახლა ისეთივეა, ოდესღაც ჩვენ რომ ვიყავით ამავე გუნდში: „გრე-ნო-ლი“. შესაძლოა, უძლიერესია მარადონა — გენიალური ფეხბურთელი, მაგრამ უცნაური ადამიანი.

● მსოფლიო ჩემპიონატზე თუ ჩახვალთ?

— რა ძოგახსენოთ, მე უკვე ორი ინფარქტი მქონდა.

რაც შეეხება პროგნოზს, რით დამთავრდება მსოფლიო ჩემპიონატი, გუნარ ნორდალმა მისგან თავი შეიკავა — ყველაფერი შეიძლება მოხდესო.

მრავალდღიანი ველორბოლა • ტრადიციული, საერთაშორისო...

ოთხნახევარი წუთის ფასი

საქართველოს ველოსიპედისტები (საუბარია საგზატკეცილო ველორბოლაზე) ნაკრების დონეზე პირველად გავიდნენ უცხოეთში. ეს მოხდა ამას წინათ, როცა ჩვენი გუნდი თურქეთის მრავალდღიან ველორბოლაში საასპარეზოდ მიიპატიჟეს. შეჯიბრებას რომ მეტი ავტორიტეტი ჰქონოდა, მას პრეზიდენტის თასის გათამაშება დაერქვა. რბოლაში, რომლის საერთო სიგრძე 800 კილომეტრს შეადგენდა, საქართველოსა და, ბუნებრივია, ადგილობრივი ველოსიპედისტების გარდა, მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრები, ლიტვის, აშშ-ს, საბერძნეთის, გფრ-ის, იუგოსლავიის, პოლონეთის, ალჟირისა და სხვა ქვეყნების გუნდები. ასპარეზობა დაიწყო ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ქალაქ ანტალიაში და დამთავრდა იზმირში.

წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ რბოლის საერთო შედეგები, თუ ჩვენი ველოსპორტის პოზიციებს გავითვალისწინებთ, არც ისე ურიგო არის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ თექვსმეტ გუნდში მესამე საპრიზო ადგილის დაკავება, თავისთავად, უკვე წარმატებაა. თან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, მეორე კი საბერძნეთის საკმაოდ ძლიერმა კოლექტივმა. მაშ ასე, გუნდური შედეგების მიმართ, როგორც ხედავთ, პრეტენზიები არ უნდა გვქონდეს.

ახლა რაც შეეხება პირად პირველობას. უნდა გითხრათ, რომ ხელმოსაკიდებელი ჩვენს გუნდს აქაც საკმარისად ჰქონდა. რუსეთის ნაკრების ლიდერმა ვასილ დავიდენკომ შვიდი ეტაპიდან სამი მოიგო, ერთხელ კი მესამე იყო. ამას გარდა, იგი მსჯთა კოლეგიამ ყველაზე აქტიურ ველოსიპედისტად მიიჩნია. როგორც ხედავთ, დავიდენკოს გადაეცა სამი ოქროს მედალი ეტაპებზე გამარჯვებისთვის და კიდევ ერთი ჯილდო, როგორც აქტიურ მრბოლს. ჩვენი ველოსიპედისტი ლაურეატთა სიაში კიდევ ერთხელ დაასახელეს. მას მეორე ადგილი ერგო სამთო ეტაპებზე წარმატებისთვის. მაგრამ მის ამ შედეგსაც პატარა კორექტივი სჭირდება; დავიდენკომ დააგროვა იმდენივე ქულა, რამდენიც სამთო ეტაპებზე გამარჯვებულმა ვადიშ კრავჩენკომ — 12. მაგრამ ამ უკანასკნელს უპირატესობა მიენიჭა მხოლოდ იმის გამო, რომ უძლიერესი იყო ბოლო ეტაპზე.

ასეთი წარმატების მიუხედავად დავიდენკოს რბოლის საერთო ჩათვლაში მხოლოდ მეხუთე ადგილი ერგო, შეჯიბრება კი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა ვიტალი ტოლკაჩოვმა მოიგო, რომელსაც არაფრით არ ჰქონდა ჩვენს ველოსიპედისტზე უკეთესი პირადი შედეგები. მაშ რა მოხდა?

დავიდენკოსა და მთელი ჩვენი გუნდისათვის საბედისწერო გამოდგა მეოთხე ეტაპი. აქ დაშვებულმა ტაქტიკურმა შეცდომამ გადაწყვიტა რბოლის საერთო ბედი. საკმაოდ უენებელი აქტიურობის შემდეგ ძირითად ჯგუფს გამოეყო ხუთეული (ორი საბჭოთა ველოსიპედისტი და თითო — ამერიკელი, დასავლეთგერმანელი და ალჟირელი), რომელსაც ჯგუფმა პირველად ყურადღება არც კი მიაქცია, მერე კი, როცა მდევრები გონს მოვიდნენ, დაიწყო რთული ტაქტიკური ბრძოლა, რომელშიც დავიდენკო მკაცრი კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა. დაწინაურებულებმა ძირითად ჯგუფს საბოლოოდ 4,5 წუთი მოუგეს და ეს იყო ამ რბოლაში გადაწყვეტი.

მეტი სიუსტისათვის კიდევ ერთ დეტალს უნდა გავიხსენებ ბაში. დავიდენკომ -მესამე ადგილზე გასულ ველოსიპედისტთან წაგო მხოლოდ 4 წამი, მეორესთან — 14 და გამარჯვებულთან 36. აი, რაოდენ დიდი იყო მეოთხე ეტაპზე დაკარგული 4,5 წუთის მნიშვნელობა.

და ბოლოს ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ველოსიპედისტთა ნაკრები გუნდის გასვლა თურქეთში მოაწყო ბათუმის სპორტულ ტურისტულმა კოოპერატივმა „მეგობრობა-89“-მ. ჯერ მარტო ეს ერთი კეთილი მაგალითი ცხადყოფს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტში ნამდვილ სპონსორობას.

ჩვენი გუნდი თურქეთში ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ვასილ დავიდენკო, გარი კეხბა, კახა ოდიკაძე, ოლეგ კორნიენკო, ბაჩუკი ხორგუანი და მამუკა ყურაშვილი. მწვრთნელი — კარლო შენგელია.

ნ. ახვლედიანი.

ბერნი ეკლესტონი:

„16 რბოლა მაქსიმუმია...“

„ლელოს“ მკითხველებისთვის საინტერესო იქნება გდრ-ის გაზეთ „იუნგე ველტში“ გამოქვეყნებული ინტერვიუ, რომელშიც კორესპონდენტი ესაუბრება ფოკა-ს („ფორმულა-I კონსტრაკშენ ასოსიეიშენ“) პრეზიდენტს ბერნი ეკლესტონს.

● რას გვეტყოდით ავსტრიელ მრბოლ გერჰარდ ბერგერზე?

— ბერგერი საუკეთესოთა შორისაა, იგი ნამდვილი მებრძოლია.

● ესე იგი, საქმე კარგად მიდის...

— არც ისე კარგად, როგორც ბევრს ჰგონია. იკარგება დიდი თანხები, მაგრამ ამაზე არ ლაპარაკობენ.

● ამ ბოლო დროს ლაპარაკია ერთ-ერთი „გრან პრის“ მოსკოვში გამართვის თაობაზე?

— მხოლოდ მივესალმებოდი ამგვარ ნაბიჯს, მაგრამ ამისათვის მოსკოვში არავინ არაფერს აკეთებს. ისე კი, 16 რბოლა სეზონის მანძილზე მაქსიმუმია. თუ მოსკოვში შესაძლებელი გახდა ეტაპის ჩატარება, მაშინ ამ 16 სტარტს ერთ-ერთი უნდა გამოაკლდეს.

● ვინ მოიგებს წლევანდელ ჩემპიონატს?

— სიმართლე გითხრათ, მიჭირს ამის თქმა. საუკეთესო შანსები, ჩემის აზრით, აქვთ „მაკლარენ-ჰონდათი“ მოსასპარეზე მრბოლებს. მათ კონკურენცია შეუძლიათ გაუწიონ „ფერარიმ“ და „უილიამს-რენოს“ პილოტებმა.

● ვინ მიგაჩნიათ ყველაზე პერსპექტიულ სპორტსმენად?

— ჟან ალესი, ეს 25 წლის მრბოლი ნამდვილი ტალანტია...

პუბლიკაცია მოამზადა
ვალხაზ რადიანმა.

„დნეპრი“ დააჯარიმეს...

ხულ ახლახან გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ დნეპროპეტროვსკის „დნეპრისა“ და პორტუგალიის „ბენფიკას“ ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩში მომხდარი ინციდენტის გამო დნეპროპეტროვსკის კლუბი დააჯარიმეს 20 ათასი ფრანკით. საქმე ის იყო, რომ თამაშის მსვლელობისას დნეპროპეტროვსკში ფეხბურთის მინდორზე გამოვარდა მაყურებელი და შეეცადა ანგარიში გაესწორებინა გვერდითი მსაჯისთვის.

გამოირკვა, რომ ეს იყო 24 წლის ხულიგანი ს. სოლოვიოვი, რომელმაც მთვრალმა ჩაიდინა ეს საქციელი. სასჯელი ითვალისწინებს პატიმრობას ერთიდან 5 წლამდე.

ს. სოლოვიოვის საქმეს სასამართლო გაარჩევს.

თუ კეტბურთს ვერ გაუგებთ...

რა არის კეტბურთი ამერიკელისათვის? ალბათ, რაღაც მისტიკური, ჯადოსნური, განმარტებას რომ არ ექვემდებარება. ამერიკულ ფეხბურთსა და კალათბურთთან ერთად კეტბურთი ახალი სამყაროს მცხოვრებთა საზრიანი გონების ერთ-ერთი დიდი სპორტული აღმოჩენაა. უფრო მეტიც, კეტბურთი ამერიკული ცხოვრების ნაწილია, ურომლისოდაც ეს ქვეყანა ამერიკა აღარ იქნებოდა, მისი მკვიდრნი კი ამერიკელები. სწორედ ამიტომაც, უსაფუძვლო აღარ მოგეჩვენებათ აზრი, რომ თუ კი კეტბურთს ვერ გაუგებთ, მაშინ ვერც ამერიკულ პოლიტიკას გაუგებთ.

გაუთვითცნობიერებელი ადამიანისათვის კეტბურთი, რატომღაც, უინტერესო თამაშად არის მიჩნეული. თითქოსდა გარეგნულად სტატიკურს, უნარი არ შესწევს ტრიბუნების ვნებათაღელვა გამოიწვიოს. სხვა საქმეა ჰოკეი, ფეხბურთი, ხელბურთი. იქ ყველაფერი ნათელია: ორი მოწინააღმდეგე გუნდი, რომელთა მიზანი გახლავთ რაც შეიძლება მეტი ბურთის გატანა მოწინააღმდეგის კარში. კეტბურთში კი რა ხდება? ერთი მოთამაშე ისვრის ბურთს, მეორე იგერიებს, დანარჩენები კი იცდიან, შემდეგ ადგილიდან მოწყდებიან და გარბიან. საით? რატომ? სინამდვილეში მოედანზე რაღაც იდუმალება ისადგურებს, რომელშიც ბრძოლის პოეზია, გონების უკიდურესი დაძაბულობა, ეშმაკობის ტალანტია ჩაწნული. პარადოქსია, რომ კეტბურთში ფიზიკურად ძლიერი გუნდი, რომელიც სპორტის სხვა სახეობაში აუცილებლად დაჯაბნიდა მეტოქეს, ხშირად აგებს ათლეტურად მასზე სუსტ, მაგრამ ტაქტიკურად უკეთ მოაზროვნე, უფრო გონებამახვილ გუნდთან. სამაგალითოდ გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ ერთ-ერთ ამერიკულ გუნდში თამაშობს გვარიანად კოჭლი სპორტსმენი, რომელსაც ვერაფრით ვერ ელევნენ, რადგან იგი ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა.

აღსანიშნავია, რომ კეტბურთს ხშირად ადარებენ ჭადრაკს, რადგან ძალზე გვანან ერთმანეთს — გარეგნული სიმშვიდე, ზოგჯერ მოწყენილობაც და იმავდროს უჩვეულო შინაგანი დინამიზმი, მოთამაშეთა ფიზიკური, გონებრივი, მორალური და ფსიქოლოგიური ძალების სრული დაძაბულობა.

ცხადია, ამ ჰარმონიას ამერიკელებიც გრძნობენ. ამიტომაც საკვირველი როდია, რომ ფეხის ადგმისთანავე კეტბურთის სამყაროში ხვდებიან. იქ ძნელად თუ ნახავთ ადამიანს, კეტი და ბურთი რომ არ სჭეროდეს ხელში. დიდი თუ პატარა, დაწყებული ხუთი-ექვსი წლის ასაკიდან, თავგამოდებით თამაშობს საგანგებოდ კეტბურთისათვის აგებულ ათასობით მოედანზე. დამწყებთათვის აუცილებელი არ არის სპეციალური კეტი, ისინი ხშირად თამაშობენ ჩვეულებრივი ჯოხით და ჩოგბურთის ბურთით. როცა ბავშვები წამოიზრდებიან და გუნდებში ჩაირიცხებიან, მაშინ მათ აუცილებლად „შეაიარაღებენ“ კეტბურთის ინვენტარითა და ფორმით.

საფიქრებელია, რომ კეტბურთის უჩვეულო პოპულარობის მიზეზი არის ინ, რომ ადამიანები სტადიონზე მარტო მხარდასაჭერად და საგულშემატკივროდ კი არ მიდიან, არამედ თვითონ არიან „დაავადებული“ ამ თამაშით, გატაცებით მისდევენ მას და საყვარელ გუნდსაც სიამოვნებით უჭერენ მხარს, მიუხედავად მატჩზე დასასწრები ბილეთების სიძვირისა. თუმცა, ტელევიზიაც ხშირად გადასცემს მატჩებს, რომელთა გამო ახალი ამბების პროგრამასაც კი გადადებენ ხოლმე.

კეტბურთის საყურადღებოდ დადიან მარტო, მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან ერთად. ეს მარტო სურვილი არ გახლავთ, ეს რიტუალია, რომელსაც ერთგვარი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. მშობლებსა და ბავშვებს უჩნდებათ საერთო ინტერესი, რომელიც დიდად ეხმარება მათ უკეთ გაუგონ ერთმანეთს ყოფით საკითხებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გონივრულად იყენებენ ნორჩი მოქალაქეების კეთილგანწყობას კეტბურთის მიმართ, მათ ეს თამაში უბრალოდ კი არ უყვართ, ერთგვარად ცხოვრებასაც კი ზოგჯერ მის მიხედვით წარმართავენ. უნდა ითქვას, რომ კეტბურთის ვარსკვლავები, როგორც წესი, საკმაოდ წესიერი ხალხია, თუმცა, ესეც რომ არ იყოს, თვით სპორტის ეს სახეობა უნერგავს მოზარდებს პატიოსნებას, უანგარობას, კოლექტივიზმს, ერთი სიტყვით, იმ თვისებებს, რომელიც ყოველივის ფასეული იყო ადამიანთა საზოგადოებაში.

ამერიკა ყოველწლიურად ასახელებს საუკეთესო მოთამაშეს. ყველაზე პოპულარულები ადგილს იმკვიდრებენ კეტბურთის დიდების მუზეუმში. იქ დაცულია ლეგენდად ქცეულ მოთამაშეთა მიერ მოპოვებული პრიზები, ფორმები, კეტები. მაგალითად, მუზეუმში შეგიძლიათ ყველაფერი შეიტყოთ კეტბურთის ლეგენდარულ მოთამაშე ბეიბ რუთზე. თუმცა, ცხადია, ყველას თავისი კერპი ჰყავს. ასეთი იყო, მაგალითად, წარსულში ბევრისთვის სათაყვანებელი მოთამაშე დი მაჯიო. აი, ვინ იყო ჭეშმარიტი სპორტსმენის ნიმუში — უკიდურესად კორექტული, ინტელიგენტური, არასდროს ეკამათებოდა მსაჯებს, რაც ასე ხშირია კეტბურთში. ყველა მისი საუკეთესო ადამიანური თვისებები სრულად წარმოაჩინა ისტორიამ, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის ყოფილ მეუღლესთან, ტრაგიკულად დაღუპულ კინოვარსკვლავ მერილინ მონროსთან. მართალია, იმ დროისათვის ისინი უკვე განქორწინებულები იყვნენ, მაგრამ დი მაჯიო ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა, რომელიც წინ აღუდგა ათასგვარ ჭორსა და მითქმა-მოთქმას, ღირსეულად იცავდა დიდი მსახიობი ქალის ღირსებასა და ნამუსს.

მსოფლიოში ფრიად პოპულარული კეტბურთის „ათვლის წერტილი“ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისია. დიდხანს ამ თამაშს გამომგონებლად ამერიკის ქალაქ კუპერსთაუნის მკვიდრს აბნერ დაბლდეის მიიჩნევდნენ. თუმცა, მერე უარყვეს არა მარტო მისი ავტორობა, არამედ საერთოდ ამ პიროვნების არსებობაც. სამაგიეროდ, არავინ უარყოფს ფაქტს, რომ 1845 წელს ნიუ-იორკის მცხოვრებმა ალექსანდრ ქართრაითმა შექმნა კეტბურთის კლუბი „ნიკერბოკერი“ და შეიმუშავა წესები, რომლებიც მალე ქალაქის კეტბურთის ყველა კლუბმა მიიღო. სწორედ ქართრაითმა გადაწყვიტა, რომ გუნდში უნდა იყოს მინდვრის ცხრა მოთამაშე, ერთმანეთისგან ოთხმოცდაათი ფუტით (27,3 მეტრით) იქნებიან დაცლებული ოთხი ბაზა. კეტბურთის დაბადების ოფიციალურ თარიღად შეიძლება მივიჩნიოთ 1846 წლის 19 ივნისი, როცა ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ჰობოკენში შედგა პირველი მატჩი „ნიკერბოკერსა“ და „ნიუ-იორკ ნაინს“ შორის.

1869 წელს ამერიკის ქალაქ ცინცინატში შეიქმნა პირველი პროფესიული გუნდი „რედ სთოკინგზი“. მალე მატჩებში მონაწილეობისათვის ფულის გადახდა სხვა კლუბებმაც დაიწყეს, რის გამოც განხეთქილება წარმოიქმნა. მოყვარულებსა და პროფესიონალებს შორის. ამჟამად სამოყვარულო კეტბურთის საქმეებს განაგებს საერთაშორისო ასოციაციაა (იბა), რომელშიც სამოცდაათამდე ქვეყნის ეროვნული ფედერაციაა გაერთიანებული.

კეტბურთი დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელს მსოფლიოში. 1986 წელს ლოზანაში გამართულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოთხმოცდამეთერთმეტე სესიაზე მიიღეს გადაწყვეტილება მისი ოლიმპიურ ოჯახში მიღების თაობაზე. ოფიციალურად კეტბურთის დებიუტი შედგება 1992 წელს, ბარსელონის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე. აქამდე კეტბურთი შვიდჯერ „წარადგინეს“ ოლიმპიურ სარბიელზე. მან უამრავი მაყურებელი მიიზიდა. 1956 წლის 1 დეკემბერს მელბურნში ავსტრალიისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდების პაექრობას 114 ათასი მაყურებელი დაესწრო, ხოლო 1984 წელს ოლიმპიური ტურნირის საჩვენებელ თამაშებზე დასასწრებად 385 ათასი ბილეთი გაიყიდა.

ასე რომ, კეტბურთს დიდი მომავალი აქვს.

მოამზადა **გელა ჯიღაურმა.**



I ლიგა

I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში შედგა მატჩი ტირასპოლის „ტირასსა“ და ტიუმენის „გეოლოგს“ შორის. ფრე — 0:0.

ორი რუმინელი „ნისტრუში“

ჩვენს გაზეთში ამას წინათ დაიბეჭდა წერილი „ცალმხრივი მოძრაობა“, სადაც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საბჭოთა ფეხბურთელები ხალისით მიდიან საზღვარგარეთის კლუბებში სათამაშოდ, სსრ კავშირს კი უცხოელი ფეხბურთელები ნაკლებად ეტანებიან.

სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ კიშინიოვის „ნისტრუმ“ სათამაშოდ მოიწვია ბუქარესტის „ვიქტორიის“ ნახევარმცველი პაულ ლაიოში და ქ. არადის **უტა**-ს თავდამსხმელი ვიორელ ტურკუ.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ორივე ფეხბურთელს ნება დართო ითამაშოს I ლიგის საკავშირო შეჯიბრებაში.



„სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის მე-13 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.591.273 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (32) მოგება 1.214 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (869) — 89 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (8.392) — 32 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 118.542 ვარიანტი. 13—2 (თბილისი, ზუგდიდი), 12—59, 11—470.

მე-13 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 21 აპრილიდან 21 მაისის ჩათვლით.

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380000, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55, სამდივნო — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58, „მერანი“ — 98-97-29, „ბავშვი“ — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შბიმის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ფასი ოფსეტური წესით საგაზეთო ქორეულში: ხიმშიაშვილის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779